David Chelidze
Author, Journalist, Sportswriter

THE HERO OF MANCHESTER CITY:

A Georgian Sensation on the English Field

(Abstract)

KEYWORDS: Georgi Kinkladze, FC Manchester City, Georgian Football

Georgian football, pretty similar to English, is prouder of its glorious past rather than the latest achievements. People in both countries constantly look for reasons for current failures to finally start moving towards new victories, instead of regretting lost matches and daydreaming about what if's.

Since the day of regaining the country's independence, the most discussed topics in Georgia have been the correct upbringing of the younger generation and the proper management of their future. Analysing and re-evaluating the mistakes made in the 1990s can actually help solve this major problem and find the righteous solution. The national talent demonstrated abroad by the 'first swallows' of Georgian football is a fact which belongs to history now. However, their talent and skills have not been fully utilised, which requires additional analysis and consideration. This is the reason I decided to look through the football career of Georgi Kinkladze, one of the most talented Georgian football individuals. This outstanding sports star had both noted achievements and mishaps.

During his first season at the club, Dinamo Tbilisi became the champion of Georgia and won the National Cup, with Kinkladze having a great contribution to both victories.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

Georgi Kinkladze was a creative playmaker on the position of midfielder. Generally, he used to play further forward than the rest of the midfield. His main role in the team was to create goalscoring situations that he skillfully arranged. The strongest qualities of this Georgian footballer were his phenomenal dribbling and set-piece abilities along with the magnificent goals, most notably his memorable solo goal against Southampton that became Goal of the Month in March.

His weakest point as a professional was related to defending. The hardest part for the managers in handling this footballer was a lack of effort to change. Kinkladze got used to the privilege of changing the formation, provided by Alan Ball and later by Frank Clark, too. They both tried 'to build the team around Kinkladze because that was the ideal way to get the best out of him'. If the conditions were right for him, Georgi would present a unique performance on the pitch like a truely bright star of football. While giving him great freedom suited him perfectly, the 4-3-1-2 system did not suit the other players and in the end, it did not work. Not all managers were 'footballing romantics' and Georgi caused frustration for those. While Georgi expected the new manager to change the system to accommodate him, Joe Royle placed him on the bench as soon as he replaced Clark as a manager in Manchester City.

Georgi played as a second striker with less positional responsibility during Frank Clark's first months as Manchester City manager and later in Derby County alongside Fabrizio Ravanelli. Although Kinkladze was a left-footed player, he could not demonstrate his skills when played as a left-winger. He even publicly stated his irritation for playing in the position.

During his career, Kinkladze won three league titles and two cups with Dinamo Tbilisi and was named national player of the year twice. After transferring to Manchester City in 1995, he became a cult hero because of his dribbling skills and

spectacular goals in English Premier League games and won the Club Player of the Year three times at English clubs. In 2005, he placed third in a BBC poll to find Manchester City's all-time cult hero. Kinkladze finished his playing career in Rubin Kazan in 2006. In the history of Russian football, he is recognised as the brightest talent of Georgian football in the 1990s. For a professional who faced many misfortunes and made a number of mistakes and who only partly managed to demonstrate his marvelous football-playing gift from above, the list of his achievements is still quite impressive.

Unfortunately, his potential as a footballer remained unused in the world football scale. Due to circumstances, his bright talent was not displayed at full blast that could hit the levels of Pele, Maradona, or Messi. The reasons for this will remain forever controversial but it is still obvious that this Georgian footballer has never made any mistakes as a playmaker and a man. If only the management of Manchester City spent some money on transferring two or three equally strong players, 'Bright Georgian Georgi Kinkladze' would become not just a cult hero of Manchester City but of Great Britain, too.

However, after 25 years from the first appearance on the English field, the 'cult hero' from the mid-1990s is still worshipped by City supporters and greeted with the same admiration by other British football fans. While the infamously restrained British media calls him 'a magician with the ball at his feet', 'Talented Georgian No10', 'the City miracle-maker', 'mysterious, continental No10', 'brilliant attacking midfielder', 'a Man City cult hero', 'the one shining light of a dull side through an awful period in the club's history', 'undoubted genius', 'one of the most consistent players of the year' and so on, his homeland can definitely be proud of this unique footballer without any what if's.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დავით ჭელიძე
პუბლიცისტი, მწერალი, სპორტული ჟურნალისტი

მანჩესტერის გმირი
(„ქინქის“ ქართული ფენომენი ინგლისის მიწაზე)

საკვანძო სიტყვები: გიორგი ქინქლაძე, საფეხბურთო კლუბი „მანჩესტერ სიტი“, ქართული ფეხბურთი

ქართული ფეხბურთი, ინგლისურის არ იყოს, დღეს წარსულის დიდებით უფრო იკვებება და ამაყობს, ვიდრე უახლესი მიღწევებით. მიზეზების კვლევა არ ცხრება ორივე ქვეყანაში, რათა ძველ წარმატებებზე ოცნებას დღევანდელი თუ არა, ზეგინდელი გამარჯვებით განცდილი სიხარულიც დაემატოს. ახალგაზრდა თაობის სათანადოდ აღზრდა და მათი მომავლის სწორად განკარგვა ყველაზე მნიშვნელოვანი თემებია საქართველოს რეალობაში ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული. უმთავრესი პრობლემის გადაწყვეტასა და მართებული გამოსავლის მოძებნაში უთუოდ გამოგვადგება 1990-იანების შესწავლა-გადაფასება. ქართული ფეხბურთის „პირველი მერცხლების“ საზღვარგარეთ გატანილი ეროვნული ტალანტი ფაქტია და ისტორიის კუთვნილება. თუმცა, სრულად ვერგამოყენებული ნიჭი შესაბამის დაფიქრებას საჭიროებს. სწორედ ამ მიზეზით, საქართველოს ნაკრები გუნდის ერთ-ერთი გამორჩეული, თვითნაბადი ვარსკვლავის – გიორგი ქინქლაძის კარიერის გამოკვლევა გადავწყვიტეთ.

ეს თბილისელი ბიჭი 1973 წლის 6 ივლისს დაიბადა და დიდუბეში გაიზარდა. ინჟინერ რობინზონ ქინქლაძეს ფანატიკურად სურდა, მისი შვილი ფეხბურთელი გამოსუ-

BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

ლიყო. ამიტომ, მამა ზოგჯერ ბიჭს აიძულებდა... მუხლებით ევლო, რათა ფეხის კუნთები გაძლიერებოდა. გიორგის დედა, პროფესიით პედაგოგი ხათუნა, არ იზიარებდა მეუღლის ახირებას. მას შვილის ქართული ცეკვის წრეზე ტარება სურდა, გიორგის შესრულებული „მთიულურით“ რომ ეამაყა; მაგრამ რობინზონმა თავისი გაიტანა და ვაჟიშვილი თბილისის „დინამოს“ ახალგაზრდულ გუნდში მიიყვანა. იქ გიორგიმ რამდენიმე წელიწადი დაჰყო და თავი გამოიჩინა თანდაყოლილი ტექნიკით, მოედნის ხედვით, უზუსტესი გადაცემებით... შემდეგ ახალგაზრდა ფეხბურთელი „დინამოს“ სარეზერვო გუნდში გადაიყვანეს, სადაც შოთა არველაძე დახვდა – ახლო მომავალში მისი თანაგუნდელი როგორც კლუბში, ისე საქართველოს ნაკრებში, როდესაც საქართველომ პოლიტიკური დამოუკიდებლობა დაიბრუნა და ქართული ფეხბურთიც საბჭოთა კავშირის ჩემპიონატს გამოეყო.

1989 წელს გიორგი ქინქლაძემ თბილისის „მრეტებში“ განაგრძო კარიერა. ეს პატარა გუნდი ეროვნული ჩემპიონატის საშუალო დონეზე თამაშობდა, მაგრამ 16 წლის გიორგიმ აქ პირველობა ანუ ძირითადი შემადგენლობის წევრობა არჩია „დინამოს“ რეზერვში ყოფნას. მან „მრეტებში“ შთამბეჭდავი სეზონი ჩაატარა და დიდად შეუწყო ხელი კლუბის პირველი ლიგიდან უმაღლეს ლიგაში გადასვლას. შედეგად, ქართული ფეხბურთის ფლაგმანმა, თბილისის „დინამომ“ უკვე ძირითად შემადგენლობაში მიიწვია დამწყები ფეხბურთელი, სადაც გიორგიმ თავისი კარიერის პირველი წლები გაატარა.

1992 წელს 19 წლის გიორგი ქინქლაძე საქართველოს ნაკრებში მიიწვიეს, რომლის შემადგენლობაშიც იმავე წლის 17 სექტემბერს პირველად ითამაშა აზერბაიჯანის ნაკრების წინააღმდეგ. საქართველოს ეროვნული გუნდისთვის ეს მეოთხე მატჩი იყო საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის შემდეგ. იმ დღეს ნაკრებში ქინქლაძესთან ერთად შოთა არველაძეც თამაშობდა. აზერბაიჯანელთა

BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

კარში ქართველთა ექვსი გოლიდან ერთ-ერთი სწორედ ამ წყვილის ლამაზი კომბინაციით გავიდა. ქინქლაძის მიერ კლუბში გატარებული პირველი სეზონის განმავლობაში „დინამომ“ საქართველოს ჩემპიონატიც მოიგო და ეროვნული თასიც, რაშიც ლომის წილი სწორედ გიორგის ეკუთვნოდა.

ქვეყანაში, რომელიც დამოუკიდებლად ფეხზე დადგომას ლამობდა ყველა ფრონტზე, ტყვია-წამლის სუნი დატრიალდა. სამარცხვინო სამოქალაქო ომის ფონზე, თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ფეხბურთელებისთვის სტაბილურ გარემოში ვარჯიშისა და თამაშის საშუალება მიეცა. ამ მიზნით, ისინი სხვადასხვა უცხოურ კლუბში „გაანათხოვრეს“. ეს, რა თქმა უნდა, მშობლების ჩარევითაც მოხდა, რომლებიც განსაკუთრებით აქტიურობდნენ საკუთარი შვილების კარიერის უკეთ მოწყობაში. ზოგჯერ, ზედმეტადაც კი ერეოდნენ ახალგაზრდების პროფესიული ინტერესებიდან გამომდინარე.

გიორგი ქინქლაძე გერმანულ „ზაარბრიუკენში“ მოხვდა იჯარით, მაგრამ ვინაიდან იქ სათამაშო დრო ძალიან ცოტა ჰქონდა, სათადარიგოთა სკამის ხეხვას, სამშობლოში დაბრუნება არჩია და ისევ „დინამოში“ განაგრძო თამაში. 1993 წლის სეზონის ბოლოს საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულიც მოიპოვა.

არასტაბილურ პოლიტიკურ სიტუაციას ბოლო არ უჩანდა საქართველოში და „დინამოს“ პრეზიდენტმა მადრიდის „ატლეტიკოს“ შესთავაზა გიორგის ტრანსფერი, რაშიც 200 ათასი გირვანქა სტერლინგი მოითხოვა. ქინქლაძეს კონტრაქტი არ გაუფორმეს. მოლაპარაკებების შედეგად, საბოლოოდ, იგი საცდელი პერიოდით ჩავიდა „ატლეტიკოში“. მალე მას მადრიდის „რეალმა“ დაადგა თვალი და სარეზერვო კლუბში ჩარიცხა. იქ გიორგი „ბოკა ხუნიორსის“ სკაუტებმა შენიშნეს და ერთთვიანი იჯარით მიიწვიეს. თუმცა, კონტრაქტი არც არგენტინელებმა გაუ-

BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

ფორმეს: შენი სტილის მოთამაშე უკვე გვყავს, არგენტინის ნაკრების გამთამაშებელი ალბერტო მარსისო (Alberto Márcico), თორემ დიდი სიამოვნებით მიგიღებდითო.

1994 წლის სექტემბერში ქინქლაძემ საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა მოლდოვის ნაკრების წინააღმდეგ თბილისში გამართულ მატჩში. თავისი თამაშის სტილით მან იტალიური კლუბების ინტერესი გამოიწვია, ხოლო იტალიურმა პრესამ „იტალიის ოქროს ბიჭს“ – ჯანი რივერას (Gianni Rivera) შეადარა, როცა „შავი ზღვის რივერა“ უწოდა. თუმცა, რეალური კონტრაქტი არც იტალიელებისგან მიუღია გიორგის.

ასე გაგრძელდა მანამ, სანამ „მანჩესტერ სიტის“ დირექტორმა, ფრენსის ლიმ (Francis Lee) არ ნახა ქინქლაძის თამაშის ჩანაწერი და რეალური მოლაპარაკებები დაიწყო გიორგის ინგლისში გადასაყვანად. ლი დაუკავშირდა მერაბ ჟორდანიას და ქინქლაძის ტრანსფერი შესთავაზა „სიტი“ში“. გარიგება არ შედგა. ქართველი მესვეურებისგან ინგლისელებმა მხოლოდ იმის გარანტია მიიღეს, რომ გიორგის გაყიდვის შემთხვევაში, „სიტის“ ექნებოდა პრიორიტეტი.

ზუსტად ორ თვეში ქინქლაძემ უელსის ნაკრების წინააღმდეგ ორი დაუვიწყარი მატჩი ჩაატარა. სწორედ უელსელთა კარში გაიტანა თავისი პირველი სანაკრებო გოლი, როდესაც საქართველოს ეროვნულმა გუნდმა საამაყო ანგარიშით 5:0 გაანადგურა მეტოქე ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე თბილისში. კარდიფში არმს-პარკზე გამართული განმეორებითი მატჩის დროს რამდენიმე კლუბის სკაუტმა იხილა გიორგის მიერ 18 მეტრის მანძილიდან ნევილ საუთჰოლის (Neville Southall) კარში გატანილი ბრწყინვალე გოლი.

„დინამოში“ გატარებულ ბოლო სეზონში ქინქლაძემ 21 მატჩში 14 გოლი გაიტანა და, შესაბამისად, მის მიმართ ინტერესი რამდენიმე ევროპულმა კლუბმა გამოხატა. თუმცა, მერაბ ჟორდანიამ არ დაარღვია ფრენსის

BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

ლისთვის მიცემული პირობა და 1995 წლის 15 ივლისს გიორგიმ კონტრაქტი გააფორმა „მანჩესტერ სიტისთან“. ინგლისელებმა ქართველი ახალგაზრდა 2 მილიონად შეაფასეს. ასე გახდა გიორგი ალან ბოლის (Alan Ball) შემდეგ პირველი შენაძენი. სამუშაო ვიზასთან დაკავშირებით არსებული სირთულეების დაძლევის შემდეგ, 1995 წლის 19 აგვისტოს მანჩესტერსიტელი ქართველის დებიუტი შედგა „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ წინააღმდეგ შინ გამართულ მატჩში, რომელიც ყაიმით 1:1 დასრულდა.

„ასტონ ვილასთან“ მატჩი იღბლიანი აღმოჩნდა „სიტისთვის“, რომელსაც სამი თვის განმავლობაში მოგების გემო ჰქონდა დაკარგული. 1995 წლის 25 ნოემბერს ქინქლაძემ გამარჯვების გოლი მოუტანა საკუთარ კლუბსა და თანაგუნდელებს, მათ შორის, ირლანდიური ფეხბურთის ლეგენდას ნაილ ქუინს (Niall Quinn).

საბოლოოდ, დიდ ბრიტანეთში მოხვედრილი ნიჭიერი ქართველი ერთ წელიწადში იქცა „მანჩესტერ სიტის“ გმირად. ხანგრძლივად სამშობლოდან წასული ახალგაზრდა ნოსტალგიამ შეიპყრო. დედამისმაც არ დააყოვნა, ინგლისში ჩავიდა და უგემრიელესი ქართული კერძებით შეუმსუბუქა უცხოობის სევდა საზღვარგარეთ მოღვაწე შვილს.

1995 წლის 9 დეკემბერს „მიდლზბროსთან“ „მანჩესტერ სიტის“ გასვლითი მატჩის დროს, ბრაზილიელი თავდამსხმელის ჟუნინიო პაულისტას (Juninho Paulista) წინააღმდეგ მოუწია თამაში ქართველ ლეგიონერს. ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე, გიორგიმ პირველი გოლი გაუტანა მასპინძლებს. თუმცა ის მატჩი სტუმრებმა დიდი ანგარიშით დათმეს – 1:4, ინგლისურმა პრესამ ქართველ ფეხბურთელს „მანჩესტერ სიტის“ ვარსკვლავი უწოდა. უფრო მეტიც, „მიდლზბროს“ გულშემატკივართა დიდი მხარდაჭერით, ქინქლაძე „სეზონის საუკეთესო მოწინააღმდეგის“ გამოსავლენ კონკურსშიც ჩართეს.

BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

1996 წლის 16 მარტს გიორგიმ უაღრესად მნიშვნელოვანი გოლი გაუტანა „საუთჰემპტონს“: ხუთი ფეხბურთელი მოატყუა, მეკარესაც აუარა გვერდი და წინ რაღა დაუდგებოდა. მატჩი ქინქლაძის გუნდმა ანგარიშით 2:1 მოიგო. გიორგის ულამაზესი გოლი თვის საუკეთესო გოლად დაასახელა ბი-ბი-სის პროგრამამ „დღის გოლი“, ხოლო „სეზონის გოლის“ გამოკითხვაში მეორე ადგილზე მოხვდა.

გიორგი ქინქლაძე 1995-1996 წლების სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. მართალია, თავისი გუნდის აღიარებული ვარსკვლავი იყო, მაგრამ ფეხბურთის ღმერთი არ ყოფილა და „მანჩესტერ სიტის“ ვერ უშველა – კლუბი პირველ დივიზიონში ჩამოქვეითდა. ქართველი ფეხბურთელით დაინტერესდნენ ევროპის საუკეთესო გუნდები: „ბარსელონა“, მილანის „ინტერი“, „ლივერპული“ და „სელტიკი“, მაგრამ გიორგიმ რომელიმე მათგანში გადასვლას „მანჩესტერ სიტიში“ დარჩენა ამჯობინა. მისი ასეთი ერთგულება სამუდამოდ დაამახსოვრდათ „სიტის“ ქომაგებს.

1995 წლის 11 ოქტომბერს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართა 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩი, რომლის დროსაც ქინქლაძემ პენალტის ნიშნულიდან აიღო ბულგარეთის ნაკრების კარი და საქართველოს ნაკრებმა ანგარიშით 2:0 გაიმარჯვა.

1996-1997 წლების სეზონში „მანჩესტერ სიტიმ“ ზედიზედ ხუთი მწვრთნელი გამოიცვალა. კით კარლის (Keith Curle) ხანმოკლე მენეჯერობის პერიოდში ქინქლაძე „მანჩესტერ სიტის“ მთავარ პენალტისტად ჩამოყალიბდა და, ამავე დროს, რამდენიმე გოლი უშუალოდ თამაშის მსვლელობისასაც შეაგდო. მაგალითად, „სუინდონ თაუნს“ 32 მეტრის მანძილიდან გაუტანა ულამაზესი გოლი, რომელიც გაზეთ „მანჩესტერ ივნინგ ნიუსის“ ჟურნალის-

BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

ტმა „სარაკეტო დარტყმას“ (‘It arrowed into the top left hand corner like a missile’) შეადარა.

გიორგი ქინქლაძეს, როგორც „მანჩესტერ სიტის“ უკონკურენტო ვარსკვლავს, ხშირად მეურვეობდა მეტოქის ორი ან სამი ფეხბურთელი. როდესაც ვერც ამდენი კაცი ახერხებდა გიორგის ტექნიკურად შეჩერებას, ჯარიმების მიღებასაც აღარ ერიდებოდნენ.

„მანჩესტერ სიტი“ ვერც იმ სეზონში გადავიდა პრემიერ-ლიგაში, მაგრამ თავისი გუნდის საუკეთესო ფეხბურთელად კვლავ გიორგი ქინქლაძე დასახელდა. ისევ აგორდა ჭორი, თითქოს, ქინქლაძე ინგლისურ კლუბს ტოვებდა. 1997 წლის 3 მაისს გიორგიმ ტრავმის გამო ვერ ითამაშა „რედინგის“ წინააღმდეგ მატჩში, რომელიც ანგარიშით 3:2 დამთავრდა. ამ თამაშის დროს „სიტის“ ქომაგებმა კამპანია გამართეს გიორგის გუნდში დარჩენის მოთხოვნით. 90 წუთის განმავლობაში ოთხივე ტრიბუნა სკანდირებდა ქართველი ფეხბურთელის გვარს და გუნდში დარჩენას სთხოვდა: „ქინქი დარჩი“, „ქინქი დარჩი“, „ქინქი დარჩი“! სეზონის დამთავრების შემდეგ, გიორგიმ კლუბში დარჩენის სურვილი გამოთქვა და განაცხადა, რომ მზად იყო, სამწლიანი კონტრაქტი გაეფორმებინა. მისმა სიტყვებმა ინგლისელ გულშემატკივართა უდიდესი კმაყოფილება გამოიწვია.

1997 წლის 7 ივნისს ბათუმის ცენტრალურ სტადიონზე შედგა 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩი საქართველოსა და მოლდოვის ნაკრებ გუნდებს შორის. მასპინძლებმა ანგარიშით 2:0 მოიგეს თამაში. მეორე გოლი ქინქლაძემ გაიტანა.

ამ პერიოდში გიორგიმ საოცნებო მანქანა – „ფერარი“ შეიძინა. ამან გუნდის ხელმძღვანელთა უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან გიორგის სისწრაფე უყვარდა. მათი შიში გამართლდა, როცა 1997 წლის 29 ოქტომბერს ფეხბურთელი ხიდს შეეჯახა და საავადმყოფოში ზურგის დაზიანებით მოხვდა. ექიმებმა 30 ნაკერი დაადეს. გიორგიმ

BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

კლუბის ორი მატჩი გამოტოვა, თუმცა ავარიიდან ორი კვირის თავზე, უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობდა.

არა და არ დაადგა „მანჩესტერ სიტის“ საშველი და 1998 წლის 17 თებერვალს ფრენკ კლარკს (Frank Clark) კარისკენ მიუთითეს. მეორე დღესვე მის ნაცვლად ჯო როილი (Joe Royle) დანიშნეს, რომელიც დაცვითი ნახევარმცველების აპოლოგეტი იყო და ქინქლაძეს უსარგებლო ფუფუნებად მიიჩნევდა ჩემპიონატში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლაში. ამ მოსაზრების გამო, მან კლუბის ხელმძღვანელებთან პირველივე შეხვედრაზე გიორგის გაყიდვა მოითხოვა. კლუბის მეპატრონეები, რა თქმა უნდა, არ დათანხმდნენ მათი გუნდის კაშკაშა ვარსკვლავისა და ქომაგების კერპის გაშვებას.

„სიტის“ ახალი მწვრთნელის მოსვლიდან სულ მალე, 23 თებერვალს ქინქლაძემ ტერფის ტრავმა მიიღო, რის გამოც ერთი თვით ჩამოშორდა ფეხბურთს. მოედანზე იგი 14 მარტს დაბრუნდა ვეილ-პარკზე, სადაც „პორტ ვილმა“ ანგარიშით 2:1 დაამარცხა „სიტი“. ამ წაგების გამო როილმა მკაცრად გააკრიტიკა ქინქლაძე და შემდეგ ექვს მატჩში საერთოდ აღარ ათამაშა.

ახალი მწვრთნელი ამტკიცებდა, რომ ქინქლაძის პოპულარობა უარყოფითად მოქმედებდა მის თანაგუნდელებზე. როილის აზრით, გუნდს ღუპავდა სწორედ ისეთი ფაქტები, როგორიც იყო ტრიბუნების მიერ ქინქლაძის სახელის სკანდირება და ორი წლის განმავლობაში მანამდე ყველასთვის უცნობი ფეხბურთელის მიერ „სიტის“ მთავარი ვარსკვლავის სტატუსის ფლობა.

როილის მიერ გიორგის ათვალწუნების მიუხედავად, ქინქლაძე სასტარტო შემადგენლობაში აღადგინეს „ქვინზ პარკ რეინჯერზთან“ („ქპრ“) საშინაო მატჩის წინ. ჩემპიონატში ორი თამაშიდა იყო დარჩენილი. „ქპრ“-ის შემადგენლობაში თამაშობდა ცნობილი ფეხბურთელი (და ახლა უკვე არანაკლებ სახელგანთქმული კინომსახიობი) ვინი ჯონსი, რომელსაც ქინქლაძის მეურვეობა ევალებოდა.

BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

გიორგიმ ანგარიში თავისუფალი დარტყმით გახსნა, მაგრამ დაცვაში ცუდი თამაშისა და ჯემი პოლოკის (Jamie Pollock) მიერ საკუთარ კარში გატანილი გოლის გამო, ის მატჩი ფრედ 2:2 დასრულდა.

მთლიანობაში, ქინქლაძემ „მანჩესტერ სიტის“ შემადგენლობაში მონაწილეობა მიიღო 119 მატჩში, რომლის დროსაც 22 გოლი გაიტანა. ამავე დროს, იგი საქართველოს ნაკრების წევრიც იყო. ახალგაზრდა ფეხბურთელზე ერთნაირად აფანატებდნენ ქართველი და ინგლისელი გულშემატკივრები იმის მიუხედავად, კონკრეტული მატჩი რა შედეგით მთავრდებოდა.

სეზონის ბოლო თვის განმავლობაში მოლაპარაკებები მიმდინარეობდა შემდგომ ტრანსფერზე. შედეგად, გიორგი ქინქლაძემ დატოვა „მანჩესტერ სიტი“ და გადავიდა ამსტერდამის „აიაქსში“ 5 მილიონის სანაცვლოდ. ამგვარად, ის კვლავ გახდა შოთა არველაძის თანაგუნდელი. თუმცა, ეს ტრანსფერი გიორგისთვის წარუმატებელი აღმოჩნდა. მას იარი ლიტმანენი (Jari Litmanen) უნდა ჩაენაცვლებინა ჰოლანდიურ კლუბში, მაგრამ ფინელი „აიაქსში“ დარჩა, რადგან ჩაიშალა მისი კონტრაქტი „ბარსელონასთან“. ამის გამო, ქინქლაძეს მისთვის უჩვეულო, მარცხენა ფლანგზე მოუწია თამაში.

„აიაქსში“ გიორგის დებიუტი შედგა ჰოლანდიის ერედივიზიაში 1998 წლის 23 აგვისტოს, როდესაც „ვილემ II-ს“ 2:0 მოუგო მისმა ახალმა კლუბმა. თუმცა, „აიაქსში“ არსებული რთული სიტუაციის გამო, ის იშვიათად გამოდიოდა მოედანზე. სეზონის დასაწყისში დანიელი მწვრთნელი მორტენ ოლსენი (Morten Olsen) თანამდებობიდან დაითხოვეს, ხოლო მის შემცვლელთან – იან ვოუტერსთან (Jan Wouters) უთანხმოების გამო, ქინქლაძეს გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი არ ეღირსა: ის და რიჩარდ ნოპერი (Richard Nopper) იარი ლიტმანენის შემცვლელ ფეხბურთელებად გაამწესეს. „მარადონადაც რომ გადავქცეულიყავი, სისტემას მაინც არ შეცვლიდა

BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

ჩემს სასარგებლოდ“, ასე იხსენებდა ქართველი ფეხბურთელი ჰოლანდიელი მწვრთნელის მისდამი დამოკიდებულებას მოგვიანებით, „ცხოვრება ჯოჯოხეთად მექცა იმის გამო, რომ ფეხბურთს ვერ ვთამაშობდი“. ამსტერდამის „აიაქსში“ გიორგიმ ვერ დაიმკვიდრა ადგილი გუნდის ძირითად შემადგენლობაში, რასაც თან დაერთო ტრავმებიც. ყოველივე ამის შედეგად, პირველ სეზონში მხოლოდ 12 მატჩში მიიღო მონაწილეობა. „აიაქსში“ გატარებულ მეორე სეზონზე ქინქლაძე განაცხადშიც ვეღარ მოხვდა და ვარჯიში სარეზერვო გუნდის შემადგენლობაში მოუწია.

სათადარიგოთა სკამზე მიჯაჭვულ ქართველს ბევრი არ უფიქრია და სხვა კლუბის ძებნა დაიწყო. მაღალი დონის რამდენიმე ინგლისურ კლუბს სურდა ქინქლაძესთან კონტრაქტის გაფორმება, მაგრამ ბრიტანეთში მუშაობის ნებართვასთან დაკავშირებული სირთულეების გამო უკან დაიხია. ტრივიალურმა პრობლემამ შეაფერხა გიორგის „ნისლიან ალბიონზე“ დაბრუნება. პრაქტიკის სიმცირის მიზეზით, მან საქართველოს ნაკრებშიც დაკარგა კუთვნილი ადგილი.

1999 წლის სექტემბერში ქინქლაძეს მოლაპარაკებები ჰქონდა „შეფილდ იუნაიტედთან“, რასაც რეალური შედეგი არ მოჰყოლია. ორი თვის შემდეგ ის იჯარით გადავიდა ინგლისურ კლუბ „დერბი ქაუნთიში“. რადგან გიორგი რეგულარულად აღარ თამაშობდა საქართველოს ნაკრებში „დერბი ქაუნთისთან“ კონტრაქტის გაფორმების დროს, ინგლისში მუშაობის ნებართვა ავტომატურად ვერ მიენიჭა; მაგრამ ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ შესაბამის ორგანოებს თხოვნით მიმართა და ქინქლაძეს სპეციალური ნებართვა დაუყოვნებლივ მისცეს ინგლისურ ფეხბურთში შეტანილი წვლილისთვის „სიტის“ შემადგენლობაში თამაშის პერიოდში. ქართველისადმი ინგლისელ ქომაგთა ერთი ჯგუფის ერთგულება იმდენად უცვლელი აღმოჩნდა, რომ ისინი ამსტერდამშიც კი ჩადიოდნენ „სიტის“

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ყოფილი გმირის მხარდასაჭერად და გასამხნევებლად. ბუნებრივია, რომ ინგლისში დაბრუნებას უდიდესი ენთუზიაზმით შეხვდა ქართველი ფეხბურთელი. „დაბრუნება ძალიან მახარებს. იმ ქვეყნებიდან, სადაც კი მითამაშია (და ეს სია საკმაოდ შთამბეჭდავია), სწორედ ინგლისია ჩემთვის ზედგამოჭრილი. ის საუცხოოდ ერგება ჩემს სისწრაფეს, შესაძლებლობასა და ტექნიკას“, განუცხადა გიორგიმ გაზეთ „ინდეფენდენტის“ კორესპონდენტს.

ახალ კლუბში ქინქლაძის დებიუტი 1999 წლის 29 ნოემბერს შედგა, როდესაც შეცვლაზე შემოვიდა ავი ნიმნის (Avi Nimni) მაგივრად. იმ დღეს ლონდონის „არსენალმა“ მოიგო 1:2 ანგარიშით. იჯარით თამაშის პერიოდში გიორგიმ 14 მატჩში მიიღო მონაწილეობა. „დერბის“ მაისურით პირველი გოლი მან 2000 წლის 4 მარტს გაიტანა „უიმბლდონის“ წინააღმდეგ თამაშში, რომელიც 4:0 ანგარიშით მოიგო მისმა ახალმა კლუბმა. „უიმბლდონთან“ მატჩით ქინქლაძე უკმაყოფილო დარჩა. მან ჯიმ სმითს (Jim Smith) გუნდის ტაქტიკის შეცვლა სთხოვა, რათა ბურთის ფლობისა და შეტევის განხორციელების მეტი შესაძლებლობა მიეცა მისთვის. მთავარმა მწვრთნელმა ფეხბურთელის ნათქვამი გაითვალისწინა და მომდევნო მატჩიდან მოყოლებული, ქართველს სრული თავისუფლება მიანიჭა მოედანზე. სეზონის ბოლოს ქინქლაძეს იჯარა კონტრაქტით შეუცვალეს. ტრანსფერის ფასმა 3 მილიონი შეადგინა, რაც ამ კლუბისთვის სარეკორდო თანხად დარჩა 2007 წლამდე.

თიაქრის ოპერაციის გამო, გიორგის 2000-2001 წლების სეზონის სტარტი გაუცდა. მწვრთნელი შეწუხებული იყო, რადგან მას ქინქლაძის ხილვა კლუბის წამყვან ფეხბურთელად სურდა. 2000 წლის 6 სექტემბერს გიორგი მოედანზე შეცვლაზე შემოვიდა, როცა მატჩს „მიდლზბრო“ იგებდა ანგარიშით 3:0. ამის მიუხედავად, ქინქლაძისა და მალკოლმ კრისტის (Malcolm Christie) გამოჩენის შემდეგ „დერბიმ“ შეძლო ანგარიშის გათანაბრება, როცა სამი

BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

გოლი გაუტანა მეტოქეს. ქინქლაძე-კრისტის წყვილმა დიდი როლი ითამაშა მატჩის ბედის შემობრუნებაში. შემდეგი ოთხი თვის განმავლობაში ქინქლაძე ხან სასტარტო შემადგენლობაში იყო, ხანაც შეცვლაზე შედიოდა სტეფანო ერანიოს (Stefano Eranio) მაგივრად. ასე გრძელდებოდა, სანამ „მიდლზბროსთან“ საპასუხო მატჩში ტრავმა არ მიიღო, რის გამოც ორი თვით დასვენება მოუხდა.

სეზონის დასაწყისში გიორგიმ მყისიერად გაიბრწყინა, მაგრამ ბრიტანულმა გაზეთმა „გარდიანმა“ მას „დერბის“ წლის იმედგაცრუება უწოდა. 2000 წლის 23 სექტემბერს „ლიდს იუნაიტედთან“ მატჩში ქართველმა კვლავ კარგად ითამაშა. იგი შეცვლაზე შემოვიდა, როდესაც 17 წუთი იყო დარჩენილი და ბოლო წუთზე გაიტანა გოლი, რამაც მის გუნდს ქულა შეუნარჩუნა. ის მეტოქე გუნდის ორ მცველს შორის გაძვრა და მარცხენა „ჯადოსნური“ (მისი აპოლოგეტი ინგლისური გაზეთების ეპითეტის გამოყენებით რომ ვთქვათ) ფეხით გაუტანა მეკარეს. მთელი სეზონი იბრძოდა „დერბი“, მაგრამ პრემიერ-ლიგიდან ჩამოქვეითებას მაინც ვერ აცდა. გიორგი კლუბში დარჩა, რადგან ტრავმების გამო სერიოზული შემოთავაზებები არ ჰქონდა.

2001-2002 წლების სეზონის დასაწყისი ქინქლაძისთვის წინა სეზონის მსგავსი გამოდგა: ხან სასტარტო შემადგენლობაში თამაშობდა, ხანაც ისევ შეცვლაზე შემოდიოდა. 2001 წლის 7 ოქტომბერს გუნდის მწვრთნელი ჯიმ სმითი, რომლის რჩეული ფეხბურთელიც იყო ქინქლაძე, თანამდებობიდან გადადგა. ამ სიახლემ სოლიდური პრობლემები გაუჩინა ქართველი ფეხბურთელის კარიერასა და განწყობას. ახლადდანიშნულმა მწვრთნელმა, კოლინ ტოდმა (Colin Todd) გუნდის თამაშის ტაქტიკის შეცვლა განიზრახა. მას არ მოსწონდა ქინქლაძის სტილის ფეხბურთელები და ორი თვის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ათამაშა გიორგი, ისიც – შეცვლაზე. სათადარიგოთა სკამზე გამწესების გამო იმედგაცრუებულმა

BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

ქართველმა უჩვეულო გადაწყვეტილება მიიღო: აგენტის დახმარებით შეხვდა ტოდს და პირველ გუნდში გადაყვანის თაობაზე დაელაპარაკა. ტოდმა უპასუხა, რომ ქინქლაძეს შეეძლო კლუბი დაეტოვებინა, თუ იქ ყოფნა არ აკმაყოფილებდა. ფეხბურთელის აგენტის განცხადებით, „მანჩესტერ სიტი“, ასევე, ესპანური კლუბები – „ვალენსია“, „მალიორკა“ და „მალაგა“ დაინტერესებულნი იყვნენ გიორგი ქინქლაძის ტრანსფერით.

2002 წლის 14 იანვარს პრემიერ-ლიგაში ბოლოდან მეორე ადგილზე მყოფი „დერბის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე ჯონ გრეგორი (John Gregory) დაინიშნა. ეს ცვლილება სასიკეთოდ წაადგა ქართველ ფეხბურთელს. სეზონის დარჩენილი დროის განმავლობაში იგი რეგულარულად თამაშობდა პირველი გუნდის ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ „დერბი“ წარუმატებელ გამოსვლას განაგრძობდა და ჩემპიონატში თავისი კარიერის პერიოდში გიორგი ქინქლაძე მესამედ ჩამოქვეითდა. „დერბიში“ არსებული ფინანსური კრიზისის გამო, იანვრისთვის ქართველ ფეხბურთელს სამი თვით დაუგვიანეს ხელფასი. ის გუნდიდან წასვლას აპირებდა. ქინქლაძის აგენტმა განაცხადა, რომ ფეხბურთელის მიმართ ინტერესს გამოხატავდა გერმანული „ჰამბურგი“ და თურქული „გალათასარაი“. თუმცა, საბოლოოდ, ქართველმა ფეხბურთელმა არ დატოვა ინგლისური კლუბი. შემდეგ სეზონში გაცილებით ხშირად თამაშობდა და კლუბის გულშემატკივრებმა გიორგი წლის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს.

„დერბიმ“ სეზონი ცხრილის ბოლოში დაასრულა, რასაც დაემატა ფინანსური პრობლემების გამწვავება. „დერბის“ დავალიანება 35 მილიონს შეადგენდა. შემდეგი სეზონისთვის კლუბის ხარჯების შემცირება გახდა საჭირო, რის გამოც სახელფასო ფონდი 17 მილიონამდე შემცირდა სეზონის ბოლოსკენ. „დერბიმ“ ქინქლაძეს ახალი, ერთწლიანი კონტრაქტი შესთავაზა გამესამედებული ანაზღაურებით. ამ დროს კი „დერბის“ დირექტორმა, ბრა-

BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

იან რიჩარდსონმა (Bryan Richardson) საჯაროდ განაცხადა, რომ იმ დროისთვის კლუბის ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელს – ფაბრიციო რავანელის (Fabrizio Ravanelli) ხელფასი (კვირაში 40 ათასი გირვანქა სტერლინგი) შეუნარჩუნდებოდა. ქინქლაძემ უარი თქვა მაჩანჩალად ქცეული კლუბის წამგებიან წინადადებაზე და წარმატებულ გუნდში გადასვლა განიზრახა, რომელთან ერთადაც ტიტულების მოგებას შეძლებდა. სანამ კლუბსა და ქინქლაძეს შორის კონტრაქტის თაობაზე მოლაპარაკებები გრძელდებოდა, გიორგი სარეზერვო გუნდში ვარჯიშობდა 2002 წლის 29 სექტემბრამდე და 2002-2003 წლების სეზონის პირველი ხუთი მატჩიც გამოტოვა „დერბის“ პირველი გუნდის შემადგენლობაში.

პირველი გუნდის ორი მარცხის შემდეგ, გიორგი მოედანზე 31 აგვისტოს დააბრუნეს „სტოკ სიტის“ წინააღმდეგ თამაშში, როდესაც ნახევარი საათიღა იყო დარჩენილი მატჩის დასრულებამდე. როგორც „დერბის“ ხელმძღვანელობა ვარაუდობდა, ქინქლაძემ გადამწყვეტი როლი ითამაშა დარჩენილ დროში: 30 წუთში გატანილ ორივე გოლში მიიღო მონაწილეობა, რისი წყალობითაც მისმა კლუბმა ანგარიშით 2:0 მოიგო იმდღევანდელი მატჩი. თუმცა, მოედანზე გიორგის წარმატებულ დაბრუნებას შესაბამისი გაგრძელება ვერ მოჰყვა, რადგან ტრავმის გამო შემდეგ ბევრი თამაში გაუცდა. ასე რომ, 2002 წელს „დერბის“ დარჩენილი მატჩების მხოლოდ ნახევარში შეძლო მონაწილეობის მიღება ქართველმა ფეხბურთელმა.

2002 წლის ოქტომბერში საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ რუსეთის ნაკრებთან გასამართი მატჩისთვის ნაკრებში არ გამოიძახა ნაკრების კაპიტანი გიორგი ნემსაძე და თავდამსხმელი გიორგი ქინქლაძე, რამაც საქართველოში მითქმა-მოთქმა გამოიწვია. იმედგაცრუებულმა და გაკვირვებულმა ქინქლაძემ განაცხადა: „როდესაც ფორმაში არ ვიყავი, მუდმივად მირეკავდა და მიძახებდა ნაკრებში. ახლა კარგ ფორმაში ვარ,

BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

გოლები გამაქვს, მაგრამ მან არც გამომიძახა და არც დაურეკავს“. ქინქლაძე და ნემსაძე ნაკრებში დაბრუნდნენ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩში ირლანდიის ნაკრების წინააღმდეგ.

სეზონისწინა პერიოდში უკლუბოდ დარჩენილი გიორგი ინგლისურ საფეხბურთო კლუბ „პორტსმუთთან“ ერთად ვარჯიშობდა, სადაც მუშაობდა მისი ყოფილი მწვრთნელი ჯიმ სმითი. მან კლუბში ითამაშა სეზონისწინა მოსამზადებელი ეტაპის ერთი ამხანაგური მატჩი, მაგრამ „პორტსმუთმა“ მის მაგივრად „მანჩესტერ სიტის“ ყოფილი გამთამაშებლის, ეიალ ბერკოვიჩის (Eyal Berkovic) შეძენა გადაწყვიტა.

შემდეგ თვეებში გიორგის მოლაპარაკებები ჰქონდა შოტლანდიურ „დანდისთან“, მოგვიანებით „სელტიკთან“ და შემდეგ „ლიდს იუნაიტედთან“, მაგრამ საბოლოოდ, კონტრაქტი ვერ შეთანხმდა ვერც ერთ გუნდთან. შედეგად, ის ინდივიდუალურად ემზადებოდა და ეროვნული ნაკრების ძირითად შემადგენლობაშიც დაკარგა ადგილი, სანამ კვლავ არ გამოიძახეს რუსეთის ნაკრებთან გასამართი მატჩისთვის. 2003 წლის დეკემბერში, ქინქლაძე ერთი კვირით სინჯებზე იმყოფებოდა „პანათინაიკოსში“, ამ ბერძნული კლუბის მფლობელის, გიანის ვარდინოგიანისის (Giannis Vardinogiannis) პირადი მიწვევით. თუმცა, გადამწყვეტ მომენტში კლუბმა უარი თქვა ქინქლაძესთან კონტრაქტის გაფორმებაზე. ექვსი თვის შემდეგ, გიორგის მოლაპარაკებები ჰქონდა იაროსლავის „შინიკთან“, მაგრამ ვერც რუსულ კლუბთან მოხერხდა შეთანხმება.

ქინქლაძის წელიწადნახევრიან უკლუბობას წერტილი დაესვა 2004 წლის ოქტომბერში, როდესაც ყოფილმა თანაგუნდელმა თემურ ქეცბაიამ, იმჟამად ფინანსური პრობლემების მქონე ფამაგუსტას „ანორთოსისის“ მოთამაშე მწვრთნელმა, ძველ მეგობარს კარიერის გაგრძელების შანსი მისცა კვიპროსულ კლუბში და კონტრაქტი შესთავაზა. „ანორთოსისის“ შემადგენლობაში ქინქლაძის

BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

დებიუტი შედგა საბერძნეთის მოქმედი ჩემპიონის, ნიქოზიის „აპოელის“ წინააღმდეგ 21 ნოემბერს გამართულ მატჩში, რომელიც შესანიშნავი გოლით აღნიშნა. შემდეგ ნიქოზიის „ოლიმპიაკოსთან“ 5:0 მოგებულ საშინაო მატჩში გიორგიმ კიდევ ერთი გოლი გაიტანა და თებერვალში კვლავ გამოიძახეს საქართველოს ნაკრებში ლიტვის ნაკრების წინააღმდეგ საერთაშორისო ამხანაგური მატჩისთვის. ფამაგუსტას „ანორთოსისთან“ დადებული კონტრაქტი მხოლოდ ერთ სეზონს მოიცავდა, მაგრამ კლუბმა ვადა ერთი წლით გაუხანგრძლივა.

სეზონის ბოლოს „ანორთოსისი“ კვიპროსის ჩემპიონი გახდა, რის შედეგადაც 2005-2006 წლების სეზონში ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა. კლუბმა იქაც წარმატებით იასპარეზა, ხოლო გიორგიმ ხუთ მატჩში მიიღო მონაწილეობა: სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა მინსკის „დინამოსთან“ ორი მატჩის ჯამში 2:1 მოგებული ანგარიშით; ორივეჯერ შეცვლაზე ითამაშა თურქეთის ვიცე-ჩემპიონ „ტრაბზონსფორთან“, რომელთანაც კვიპროსულმა კლუბმა ორი მატჩის ჯამში 3:2 მოიგო და ისტორიული წარმატება მოიპოვა; 90 წუთი ითამაშა გლაზგოს „რეინჯერსთან“ მესამე ეტაპზე 1:2 წაგებულ საშინაო მატჩში. შოტლანდიურ „რეინჯერსთან“ გიორგის თამაშმა ყაზანის „რუბინის“ მწვრთნელის, ყურბან ბერდიევის ყურადღება მიიპყრო, რომელმაც ქართველ თავდამსხმელს რუსულ კლუბში თამაში შესთავაზა. 2005 წლის 22 აგვისტოს ქინქლაძემ ბოლო მატჩი ითამაშა „ანორთოსისის“ მაისურით ნიქოზიის „ომონიას“ წინააღმდეგ კვიპროსის თასზე და შემდეგ ყაზანისკენ გაუდგა გზას. ქინქლაძის ბერძნული კლუბიდან წასვლის შესახებ თემურ ქეცბაიამ განაცხადა: „არ მინდა ისეთი ფეხბურთელები, ვისაც არ სურთ „ანორთოსისში“ თამაში. ასე რომ, ქინქლაძის საკითხი დახურულია“. 26 აგვისტოს „ანორთოსისმა“ და „რუბინმა“ შეთანხმებას მი-

BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

აღწიეს და ქინქლაძემ რუსულ კლუბთან კონტრაქტი გაა-ფორმა სეზონის ბოლომდე.

მომდევნო დღეს ახალ კლუბში გიორგის დებიუტი შედგა. მან 90 წუთი ითამაშა „როსტოვთან“ 2:1 მოგებულ საშინაო მატჩში. სადებიუტო მატჩი წარმატებული გამოდ-გა ქართველისთვის: მის ჩაწოდებულ კუთხურს თავური დაუხვედრა ლატვიელმა ვიტალის ასტაფიევსმა (Vitālijs Astafjevs) და გამარჯვების გოლი გაიტანა. შემდეგ ორ მატჩში ქინქლაძე ნაკლებად გამოირჩეოდა და ორივეჯერ შეცვალეს. ამის გამო ბერდიევს გული არ აუცრუებია გიორგიზე და მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე გა-ნაცხადა: „მას დრო სჭირდება. ის გამოცდილი ფეხბურ-თელია და ვფიქრობ, გუნდს დაეხმარება“.

შემდეგ მატჩში „რუბინმა“ 5:1 დაამარცხა ცხრილის დაბალ საფეხურზე მყოფი გროზნოს „ტერეკი“. იმ დღეს ქინქლაძემ შესანიშნავად ითამაშა: ორი გოლი გაიტანა და ორი საგოლე ჩაწოდებაც შეძლო. თავიდან გიორგიმ მონაწილეობა მიიღო კუთხურის ჩაწოდებაში და გავიდა გოლი, რომლითაც გაიხსნა მატჩის ანგარიში. შესვენებამ-დე გროზნოს „ტერეკმა“ გათანაბრება მოახერხა, მაგრამ შემდეგ 17 წუთში ქინქლაძემ წინ გაიყვანა გუნდი, როცა არგენტინელი ალეხანდრო დომინგესისგან (Alejandro Domínguez) საჯარიმოში მიღებული ჩაწოდებით მეკარის-გან შორეულ კუთხეში დაარტყა და ლამაზი გოლი გაი-ტანა. ექვს წუთში უკვე ჩეხმა ტომაშ ჩიჟეკმა (Tomáš Cízek) გაიტანა გოლი გიორგი ქინქლაძისა და ურუგვაელი ან-დრეს სკოტის (Andrés Scotti) ოსტატური კომბინაციის შე-დეგად. სამი წუთის შემდეგ ქინქლაძე დრიბლინგით გას-ცდა „ტერეკის“ ოთხ ფეხბურთელს და მარცხენა ჯადო-ფეხით ბურთი მოწინააღმდეგის კარის ბადეში გახვია.

ტომსკის „ტომთან“ საშინაო მატჩში ქინქლაძემ სა-ჯარიმო დარტყმა გააფუჭა, რის გამოც „რუბინმა“ ამ მნიშვნელოვანი მატჩის მოგება ვერ შეძლო. თამაშის შემ-დეგ ყურბან ბერდიევმა განაცხადა, რომ ის შეცდა პე-

ნალტის შემსრულებლის შერჩევაში. მიუხედავად ამისა, „რუბინის“ მთავარმა მწვრთნელმა გიორგი გუნდში დატოვა კარგი თამაშის გამო.

გამთამაშებლის გამორჩეული უნარის წყალობით, ქინქლაძემ შეძლო, თავის გუნდს დახმარებოდა დაცვიდან თავდასხმაში გადასვლასა და ბურთის დაჭერაში. ის ერთ-ერთი იყო სამი ნახევარმცველიდან 4-2-3-1 განლაგებაში. გიორგის ტექნიკურმა სტილმა და მისმა იმპროვიზაციამ მეტი მრავალფეროვნება შესძინა „რუბინის“ შეტევებს, მაგრამ ასეთ სტილს ყურბან ბერდიევი არ ემხრობოდა. ქინქლაძემ საგოლე ჩაწოდებები განახორციელა რამდენიმე მნიშვნელოვან მატჩში. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო პეტერბურგის „ზენიტთან“ შეხვედრა, სადაც „რუბინმა“ შემდეგ სეზონში უეფა-ს თასზე ასპარეზობა გაინაღდა. ამის შემდეგ ქართველი ლეგიონერი საქართველოს ნაკრებში გამოიძახეს ბულგარეთისა და იორდანიის ნაკრებ გუნდებთან საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრებში მონაწილეობის მისაღებად. კუნთების დაჭიმვის გამო, ქინქლაძე იძულებული გახდა ორივე საანაკრებო მატჩი და ჩემპიონატში „რუბინის“ ბოლო თამაში გამოეტოვებინა. 2005 წლის სეზონი მან „რუბინის“ შემადგენლობაში ნათამაშევ ცხრა მატჩში შვიდი საგოლე პასითა და ორი გოლით დაასრულა.

სეზონისწინა პერიოდში „რუბინმა“ ქინქლაძესთან კონტრაქტის გაგრძელება დააგვიანა და „ანორთოსისმა“ მისი დაბრუნება სცადა. თუმცა, ქართველმა ფეხბურთელმა ბერძნული კლუბის შემოთავაზებაზე უარი თქვა და „რუბინში“ დარჩენა ამჯობინა. კონტრაქტის გახანგრძლივების სურვილი „რუბინმა“ დეკემბრის ბოლოს გამოთქვა, მაგრამ ეს საქმე გიორგის ოჯახური მდგომარეობის გამო გადაიდო. საბოლოოდ, იანვრის შუა რიცხვებში გაფორმდა ერთწლიანი კონტრაქტი. ახალ სეზონში ყურბან ბერდიევმა 4-3-3 განლაგებით თამაში გადაწყვიტა და გიორგი თავდასხმაში დააყენა იამაიკელ დამანი რალფსა (Damani

Ralph) და ვლადიმირ ბაირამოვთან (Wladimir Baýramow) ერთად. „რუბინის“ მთავარი მწვრთნელის განცხადებით, „სამეულმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა სეზონისწინა მოსამზადებელ პერიოდში“.

2005 წლის წარმატებული სეზონის შემდეგ, 32 წლის ქინქლაძეს ახალ სამეულში ეფექტური თამაშის იმედი ჰქონდა. თუმცა 2006 წლის სეზონი მის კარიერაში ბოლო აღმოჩნდა. გიორგიმ ტრავმა მიიღო „რუბინის“ პირველივე მატჩში რუსეთის თასის გათამაშებაზე, რომელშიც იაროსლავის „შინიკი“ მისმა გუნდმა 1:0 დაამარცხა. ეს იყო უკანასკნელი 90-წუთიანი მატჩი გიორგი ქინქლაძისათვის. ძველი ტრავმის გამეორებამ იმაზე ხანგრძლივი დროით ჩამოაშორა ფეხბურთს, ვიდრე მოსალოდნელი იქნებოდა სხვა შემთხვევაში. მოედანზე მისი დაბრუნება და სრული დატვირთვით ვარჯიში მაისის ბოლოსთვის გადაიდო. დადგენილ ვადაში გიორგი ქინქლაძემ ვარჯიში განაახლა და „რუბინის“ ხუთ მატჩში გამოჩნდა, მათ შორის, ორჯერ სასტარტო შემადგენლობაში „როსტოვთან“.

2006 წლის 20 აგვისტოს გამართული მატჩი უკანასკნელი აღმოჩნდა ქართველი ფეხბურთელის კარიერაში. 31 სექტემბერს კვლავ გამოიძახეს საქართველოს ნაკრებში, მაგრამ სათადარიგოთა სკამზეც არ გამოჩენილა. მოგვიანებით ქინქლაძემ დამატებითი მკურნალობის კურსი ჩაიტარა, სამედიცინო შემოწმება გაიარა და კლუბმა მისი დატოვების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. ოქტომბერში გიორგი განაცხადში მხოლოდ ერთხელ მოხვდა, მაგრამ არც მაშინ უთამაშია. ის და მისი თანამემამულეები მკაცრად გააკრიტიკა „რუბინის“ გენერალურმა დირექტორმა, რომელმაც პრესას განუცხადა, რომ არსებობს პასუხგაუცემელი კითხვები ქართველების დამოკიდებულებაზე ვარჯიშისა და, ზოგადად, ფეხბურთის მიმართ. ნოემბერში გიორგიმ ისევ ტრავმა მიიღო და სეზონი გაუცდა. მისი ერთწლიანი უთამაშობის შემდეგ, „რუბინმა“ გა-

BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

დაწყვიტა, კონტრაქტი აღარ გაეგრძელებინა ქინქლაძისთვის.

2007 წლის იანვარში გიორგის მოლაპარაკებები ჰქონდა თავის ყოფილ კლუბ „ანორთოსისთან“, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა. იმავე წლის აგვისტოში ქინქლაძის ყოფილმა თანაგუნდელმა ეროვნული ნაკრებიდან, მალხაზ ასათიანმა განაცხადა, რომ გიორგი ქინქლაძემ კარიერა დაასრულა და მოსკოვში დასახლდა.

2011 წლის 20 აგვისტოს ფამაგუსტას „ანორთოსისმა“ ოფიციალური განცხადება გააკეთა ქინქლაძესთან კონტრაქტის გაფორმების თაობაზე. შედეგად, ქართველი კლუბის ტექნიკური დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნა. 2012 წლის მაისში, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, აღნიშნული კონტრაქტი კლუბსა და ქინქლაძეს შორის შეწყდა.

2014 წლის 10 ივნისს გიორგი ქინქლაძე ცხინვალის „სპარტაკის“ სპორტულ დირექტორად დაინიშნა. სულ მალე გუნდმა ქართველ თავკაცს დაბადების დღე გამარჯვებით მიულოცა: თბილისის „ლოკომოტივი“ 0:4 დაამარცხა მასპინძლების საწვრთნელ საგურამოს ბაზაზე გამართულ მატჩში.

გიორგი ქინქლაძე შემოქმედებითი მოთამაშე იყო, რომელიც ნახევარმცველის პოზიციაზე იდგა გამთამაშებლის ფუნქციით. როგორც წესი, ის უფრო წინა პოზიციაზე მოქმედებდა, ვიდრე სხვა ნახევარმცველები. გუნდში მისი ძირითადი როლი საგოლე მომენტების შექმნა იყო, რასაც ოსტატურად ართმევდა თავს. დრიბლინგის ფენომენალური უნარი მიიჩნევა ამ ქართველი ფეხბურთელის უძლიერეს თვისებად.

ქინქლაძის, როგორც პროფესიონალის, სუსტ წერტილს დაცვა წარმოადგენდა, ხოლო მისი ხასიათის ნაკლი ის იყო, რომ მას არ სურდა შეცვლა და მოითხოვდა მასზე მორგებოდა მატჩის ტაქტიკაცა და მთელი თამაშიც. მისთვის სასურველი პირობების შემთხვევაში, იგი

BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

შეუდარებელი და ნამდვილი კაშკაშა ვარსკვლავი ხდებოდა. თუმცა, მისი სიჯიუტით იმედგაცრუებულები რჩებოდნენ ხოლმე მწვრთნელები. სწორედ ნაკლოვანებების დაძლევის უსურვილობის გამო არ უშვებდა ხოლმე მას მოედანზე ჯო როილი.

„მანჩესტერ სიტიში“ ფრენკ კლარკის მწვრთნელობის პირველი თვის განმავლობაში, ასევე, „დერბი ქაუნთიში“ ფაბრიციო რავანელისთან ერთად, გიორგი ქინქლაძე თამაშობდა მეორე თავდამსხმელად, ნაკლები პოზიციური დატვირთვით. მიუხედავად იმისა, რომ ქინქლაძე ცაცია იყო, ის კარგად ვერ თამაშობდა მარცხენა ფლანგზე და საჯაროდაც განაცხადა, რომ ამ პოზიციაზე თამაში აღიზიანებდა.

კარიერის განმავლობაში მას ორჯერ მიანიჭეს საქართველოს წლის ფეხბურთელის ტიტული, სამჯერ მოიპოვა წლის ფეხბურთელის ტიტული ინგლისურ კლუბებში, ხოლო რუსეთის ფეხბურთის ისტორიაში აღიარებული იყო 1990-იანი წლების ქართული ფეხბურთის კაშკაშა ტალანტად. 2005 წელს მან აიღო მესამე ადგილი ბი-ბისის გამოკითხვაში „მანჩეტსერ სიტის“ ყველა დროის „საკულტო გმირის“ ნომინაციაში. პროფესიონალი ფეხბურთელისთვის, რომელსაც მრავალგზის არ გაუმართლა, არაერთი შეცდომა დაუშვა და, ფაქტობრივად, სრული კი არა, ნახევარი პოტენციალიც ვერ აჩვენა იმ ტალანტის, რაც დაბადებით ერგო, ეს ჩამონათვალი სულაც არაა მცირე მიღწევა.

ცხადია, დასანანია, რომ გიორგი ქინქლაძის განუმეორებელი ნიჭი, რეალურად, დამოუყენებელი დარჩა მსოფლიო ფეხბურთის მასშტაბში. გარემოებათა გამო, მისი ვარსკვლავის სრული სიმძლავრით გამობრწყინება ვერ მოხერხდა პელეს, მარადონასა და მესის დონეზე. სამუდამოდ საკამათო იქნება ამის მიზეზები, მაგრამ ისიც ცალსახად ნათელია, რომ პროფესიასა და კაცობაში არასდროს შეშლია რამე ქართველ ფეხბურთელს. „მანჩესტერ

BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

სიტის“ მესვეურებს რომ თანხის გაღება არ დანანებოდათ და ორი-სამი ძლიერი მოთამაშე შეეძინათ, „ბრწყინვალე ქართველი გიორგი ქინქლაძე“ (გაზეთ „მანჩესტერ ივნინგ ნიუსს“ თუ დავესესხებით) არა მხოლოდ მანჩესტერის, დიდი ბრიტანეთის ეროვნულ გმირადაც იქცეოდა. თუმცა, მის სამშობლოს – საქართველოს ყოველგვარი „რა იქნებოდა“ ანდა „რა შეიძლებოდა მომხდარიყოს“ გარეშე შეუძლია იამაყოს ამ უნიკალური ფეხბურთელით, რომელსაც ინგლისურ მოედანზე პირველად გამოჩენიდან 25 წლის შემდეგაც ძველებური აღტაცებით ხვდებიან ბრიტანელი ქომაგები და თავშეკავებით ცნობილი, ალბიონის ნაკლებადემოციური მედია „აბსურდულად ნიჭიერ“, „სიტის“ ჯადოქარ“, „იმ პერიოდის პრემიერ-ლიგის ერთ-ერთ ყველაზე შთამბეჭდავ“, „არაორდინალურ, მეინ-როუდის... ეგზოტიკურ მოთამაშედ“ მიიჩნევს.

2019 წლის მაისში „მანჩესტერ სიტისა“ და „ლესტერის“ შეხვედრის წინ, წარსულში ინგლისური ფეხბურთის ვარსკვლავები და ამჟამად სპორტული ტელეწამყვანები, ჯეიმი კარაგერი (Jamie Carragher) და გარი ნევილი (Gary Neville) ეტიჰადის სტადიონის მიმდებარე შენობაში მაყურებლისთვის ვიდეოტურს ატარებდნენ ტვიტერზე. ოთახიდან ოთახში სიარულისას ე.წ. ლეგენდათა დარბაზს მიადგნენ. კარაგერმა ფეხი შედგა და ბრიტანულად იხუმრა, ლეგენდათა სამყოფი ცარიელი აქვს „მანჩესტერ სიტისო“. თუმცა, გარი ნევილმა იქვე შეახსენა კოლეგას: „სტივ ლომასი! გიორგი ქინქლაძე! (‘Steve Lomas! Georgi Kinkladze!’)“. 125-წლიანი ისტორიის მქონე ინგლისურ კლუბს ორი ლეგენდა უაპელაციოდ დაუთვალა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავმა და ჩრდილოეთ ირლანდიელი ნახევარმცველის გვერდით, ქართველი ‘King Kinky’ დაასახელა. როგორც ჟურნალისტმა უილ ჯონსმა აღნიშნა, „სიტის“ ფანებმა სოციალური მედიის საშუალებით თავიანთი მოწონება გამოხატეს ნევილის კომენტარის გამო. ორი ათეული წლის შემდეგ, მოწინააღმდეგე გუნდის

BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

წევრისგან აღიარება ქართველ გულშემატკივრებსაც განსაკუთრებულად დასაფასებელი გვგონია.

ლიტერატურა ▫ References

1. ბაბუნაშვილი ილია, **ლაბირინთი სახელად გიო ქინქლაძე**, „ლიდერ სპორტი“, 31 იანვარი, 2019 (www.leadersport.ge)
2. **ქართული სპორტის ოქროს წიგნი** (2013), ელგუჯა ბერიშვილი, თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“. – 201 გვ.
3. ბუაჩიძე შალვა, **გიორგი ქინქლაძე და მისი ბენტლი**, ჟურნ. „ავტობილდი“, 8 ივნისი, 2015.
4. ბუაჩიძე შალვა, **ქინქლაძე ინგლისის მუზეუმში**, ჟურნ. „ავტობილდი“, 4 დეკემბერი, 2014.
5. **გიორგი ქინქლაძე, საუკეთესო ათიანი. ქართველი ბურთის ჯადოქარი**, posted by gogliko on www.ucnauri.com and retrieved on 22 January 2020.
6. გოდუაძე ლაშა, **კარიერა ფრაზებში: გიორგი ქინქლაძე**, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, გამოყენების თარიღი: 6 სექტემბერი, 2018.
7. თაბაგარი ლაშა, **გიორგი ქინქლაძე: „სიტიზე“, „აიაქსზე“, „ფერარიზე“, გადარჩენილ სიცოცხლესა და გაფლანგულ ნიჭზე**, „მსოფლიო სპორტი“, 7 დეკემბერი, 2012.
8. თალაკვაძე ლუკა, **ამათ გიორგი ქინქლაძე ჰყავდათ**, „სარბიელი“, 7 მაისი, 2019.
9. კაკაურიძე ალეკო, **გიორგი ქინქლაძე: ინგლისში მცველები ფეხების მომტვრევით მემუქრებოდნენ**, გაზ. „ლელო“, 13 ნოემბერი, 2018 (www.lelo.ge)
10. კაკაურიძე ალეკო, **გიორგი ქინქლაძე: ტკივილამდე საწყენი იყო სიტიდან წასვლა... ცრემლები წამომცვივდა**, გაზ. „ლელო“, 2 აპრილი, 2018 (www.lelo.ge)

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

11. ნაჭყებია კახა, **გიორგი ქინქლაძე – ქართული ფეხბურთის მარგალიტი**, „კვირა პლიუსი“, 4 მარტი, 2015 (www.plus.kvira.ge)
12. საგინაშვილი სალომე, **ანრი, ნისტელროი, ქინქლაძე: პრემიერ-ლიგის გვერდი 10 ინდივიდუალურ გოლს იხსენებს**, „სეტანტა“, 10 აპრილი, 2019 (www.setanta.ge)
13. საგინაშვილი სალომე, **გიორგი ქინქლაძე „მანჩესტერ სიტის“ Facebook გვერდის გარეკანზე**, „სეტანტა“, 2 სექტემბერი, 2018 (www.setanta.ge)
14. საგინაშვილი სალომე, **ინგლისში გიორგი ქინქლაძეს გულთბილად შეხვდნენ**, „სეტანტა“, 31 ოქტომბერი, 2018.
15. საგინაშვილი სალომე, **პრემიერ ლიგის ოფიციალური Facebook გვერდი გიორგი ქინქლაძეს იხსენებს**, „სეტანტა“, 26 ნოემბერი, 2017 (www.setanta.ge)
16. საგინაშვილი სალომე, **DailyMail: ქინქლაძე „მანჩესტერ სიტის“ საუკეთესოებში**, „სეტანტა“, 15 მარტი, 2018.
17. საგინაშვილი სალომე, **givemesport-მა გიორგი ქინქლაძე პრემიერლიგის გამორჩეულ ფერხბურთელებს შორის დაასახელა**, „სეტანტა“, 26 ნოემბერი, 2019.
18. **„სპარტაკმა“ გიორგი ქინქლაძეს დაბადების დღე გამარჯვებით მიულოცა**, „მსოფლიო სპორტი“, 6 ივლისი, 2014.
19. ფერაძე ქეთი, **გიორგი ქინქლაძე „მანჩესტერ სიტის“ ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად...**, „თაიმერი“, 6 ივლისი, 2015 (www.timer.ge)
20. **ქინქლაძე „სიტის“ ყველა დროის საუკეთესო ათეულშია!**, CrystalSport, 14 მარტი, 2018.
21. შელეგია რატი, **ქინქლაძე: ვიცი, რომ გაცილებით მეტი შემეძლო, მაგრამ...**, გაზ. „კვირის პალიტრა“, 9 ივნისი, 2014 (www.kvirispalitra.ge)
22. Ashbee, Paul ‘Bigun’ (2019), *Giving it the Bigun: Oasis, Manchester, Football and Me*, New Haven Publishing Ltd. ISBN-13: 978-1912587148
23. Ashdown, John, *Burkey makes revival points*, The Guardian, 14 April 2003.
24. Buckley, Andy, and Richard Burgess (2000), *Blue Moon Rising: The Fall and Rise of Manchester City*, Milo Books. ISBN-13: 978-0953084746

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

25. *City's goalden moments*, The Manchester Evening News, 9 August 2004.
26. Clayton, David (2005), *Kinkladze: The Perfect 10?*, Gardners Books. ISBN-13: 978-1-903158-60-9
27. Collins, Roy, *Kinkladze back to his old tricks*, The Guardian, 4 December 1999 (www.theguardian.com)
28. Cox, Michael, *How Georgi Kinkladze showed up Premier League's early inability to evolve*, The Guardian, 25 May 2017.
29. Gardner, Peter, *Kinkladze's boots do the talking*, The Telegraph, 2 September 2002 (www.telegraph.co.uk)
30. Hadfield, Dave, *Kinkladze lifts City clear*, The Independent, 17 March 1996.
31. Harrison, Lindsay, *Blades' bold bid to capture Kinkladze*, The Independent, 23 September 1999.
32. Hodgson, Guy, *Kinkladze keen to play despite crash*, The Independent, 1 November 1997.
33. Hodgson, Guy, *Lap of dishonour as City farce plays on*, The Independent, 27 April 1998.
34. Hurrey, Adam, *'90s heroes: Georgi Kinkladze*, The Set Pieces, Retrieved on 11 December 2019.
35. Hurrey, Adam (2015), *Football Clichés: Decoding the Oddball Phrases, Colorful Gestures, and Unwritten Rules of Soccer Across the Pond*, New York, NY: Penguin Books. ISBN: 978-0-14-312852-6
36. Jones, Wil, *Jamie Carragher and Gary Neville absolutely rinse Manchester City's 'Legends Lounge'*, JOE, 6 May 2019 (www.sportsjoe.ie)
37. *Kinkladze £5m Ajax move*, BBC News, 15 May 1998 (www.news.bbc.co.uk)
38. *Kinkladze put up for sale*, BBC News, 8 January 2002.
39. Ladyman, Ian, *Manchester City are just like a PlayStation team... it would have suited me, says Georgi Kinkladze*, The Daily Mail, 9 November 2018 (www.dailymail.co.uk)
40. Mackay, Duncan, *Drop looms for comical City*, The Observer, 26 April 1998; p. B2.
41. *Man City's cult heroes*, BBC, Football Focus, 4 March 2005 (www.bbc.co.uk)

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

42. Moore, Glenn, *Derby pray for second coming of Kinkladze*, The Independent, 28 December 1999.
43. Savin, Aleksandr (2001), *Players, coaches, referees: Reference-biographical dictionary*. History of Football (in Russian), Moscow: Terra-Sport, Olimpiya Press. p. 266. ISBN: 5-93127-139-2
44. Smith, Dave, *Kinky: Jim saved me from Ajax agony*, The Sunday Mirror, 5 December 1999.
45. Staniforth, Tommy, *Kinkladze returns to Premiership in Derby loan deal*, The Independent, 2 November 1999 (www.independent.co.uk)
46. Taylor, Daniel, *Kinky silences mob*, The Guardian, 25 September 2000 (www.theguardian.com)
47. *The modern great – Georgi Kinkladze*, The Manchester Evening News, 9 August 2004.
48. Thomas, Russell, *Wimbledon left in disarray as Kinkladzez restores home pride*, The Guardian, 6 March 2000.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)